



მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #60

დეკემბერი, 2017

გამოშვებაში  
წაიკითხავთ

“CYBER-EXE 1

საქართველო  
2017“ -

კიბერსავარჯიშო  
საჯარო და კერძო  
ორგანიზაციების  
წარმომადგენლებ  
ისთვის

პეტიციების 2

ახალი პორტალი  
-  
iCHANGE.GOV.GE  
ამოქმედდა

“CYBER-EXE საქართველო 2017” - კიბერსავარჯიშო  
საჯარო და კერძო ორგანიზაციების  
წარმომადგენლებისთვის



15 დეკემბერს სასტუმრო  
„რადისონ ბლუ ივერიაში“  
საქართველოს იუსტიციის  
სამინისტროს სსიპ „მონაცემთა  
გაცვლის სააგენტოს“ სამთავრობო  
კომპიუტერულ ინციდენტებზე  
სწრაფი დახმარების ჯგუფ  
„CERT.GOV.GE“-ს ორგანიზებით  
მორიგი ეროვნული  
კიბერსავარჯიშო “CYBER-EXE  
საქართველო 2017” გაიმართა,  
რომელშიც მონაწილეობდნენ

როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის გამოცდილი კიბერპროფესიონალები.  
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP)  
მხარდაჭერით დაფინანსებული ღონისძიება სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“  
თავმჯდომარე ნიკოლოზ გაგნიძემ გახსნა.

ასეთი ტიპის ღონისძიებების მიზანია, ხელი შეუწყოს კიბერუსაფრთხოების  
პოპულარიზაციას როგორც საჯარო, ისე ბიზნესის სექტორში. უკვე რამდენიმე  
წელია, სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ყოველწლიურად ატარებს  
ღონისძიებებს კიბერუსაფრთხოების საკითხებში ცნობიერების ამაღლების  
მიმართულებით.

აღნიშნული სავარჯიშო შეჯიბრის ხასიათს ატარებს, რომლის დროსაც თითოეული  
მონაწილე ორგანიზაციის გუნდი წინასწარ მომზადებული კიბერშეტევის  
პირობებში ახორციელებს ვირტუალური სივრცის დაცვის ოპერაციას. სავარჯიშოს  
შედეგად გაანალიზდება თითოეული გუნდის სუსტი და ძლიერი მხარეები და  
გუნდების გაძლიერების მიზნით მომზადდება რეკომენდაციები (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

www.eAuction.ge  
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) მსგავსი ფორმატი მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა და მას “წითელი და ლურჯი” ჯგუფების სავარჯიშოებს უწოდებენ.

„როდესაც 2014 წელს „Cyber-Exe საქართველო“ პირველად ჩავატარეთ, მაშინ არ გვქონდა სათანადო გამოცდილება და ჩვენი უცხოელი კოლეგები გვეხმარებოდნენ სავარჯიშოების შედგენის, მთლიანად ღონისძიების ფორმატის ფორმირების საქმეში. წელს ამ ღონისძიებას უკვე მეოთხედ ვატარებთ და სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ „Cyber-Exe საქართველო 2017“, მსგავსად გასული წლის ღონისძიებისა, მთლიანად „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა“ და მისი კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის - CERT.GOV.GE-ს რესურსებით არის ორგანიზებული. დღევანდელ ღონისძიებაში 20-მდე სხვადასხვა სახელწიფო თუ კერძო სექტორის წარმომადგენელი გაერთიანდა ქვეყნისთვის ამ მეტად მნიშვნელოვან მიმართულებაზე სამუშაოდ. იმედი მაქვს, რომ მსგავსი სავარჯიშოები ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო გააძლიერებს კიბერსაფრთხეებთან ბრძოლის საქმეში.“ - აღნიშნა **ნიკოლოზ გაგნიძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარემ.

სავარჯიშოებში მონაწილეობა მიიღო დარეგისტრირებულმა 60-მდე IT-პროფესიონალმა, რომლებიც ჯგუფებად დანაწილდნენ. 3 პირისგან შემდგარ თითოეულ ჯგუფს მიეცა კონკრეტული დავალებები, კერძოდ, სხვადასხვა სირთულის კიბერინციდენტის გამოვლენა და მათი დროული აღმოფხვრა.


ღონისძიების ფარგლებში, მონაწილეებს საშუალება ეძლევათ, უკეთ გაეცნონ სხვადასხვა უწყების გამოცდილებას; მიიღონ საჭირო ინფორმაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია კრიტიკულ სიტუაციაში დროული და სწრაფი რეაგირებისათვის.

სავარჯიშოები მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

დასასრულ, სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ ყველა მონაწილეს სერტიფიკატები გადასცა.



**პეტიციების ახალი პორტალი - ICHANGE.GOV.GE ამოქმედდა**



ICHANGE.GOV.GE - პეტიციების ახალი პორტალი, რომელიც 22 დეკემბრიდან ამოქმედდა, საქართველოს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს ან/და მოქალაქეთა ჯგუფს საშუალებას აძლევს პეტიციის მეშვეობით სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობას მიმართოს.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, Ichange საქართველოს მთავრობის პროექტია, რომელიც ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებების გაუმჯობესებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2) პორტალის პრეზენტაციაზე მისულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა, მაია ცქიტიშვილმა მიმართა და ყურადღება პორტალის მნიშვნელობაზე, როგორც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობაზე გაამახვილა.

"Ichange.gov.ge - ეს არის პეტიციების პორტალი, რომელზეც ჩვენ ძალიან დიდი ხანი ვმუშაობდით ჩვენს პარტნიორებთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად და ყველა სახელმწიფო ორგანიზაციასთან ერთად, ვისაც ამ პეტიციებზე მოუწევს მუშაობა. თქვენ იხილეთ ალბათ, რომ ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ დააანონსა პორტალის შექმნა, ეს გახლავთ ჩვენი ერთ-ერთი ინიციატივა, რომელიც ექცევა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში და რომელიც არის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე კარგი და მარტივი საშუალება მოქალაქისთვის, რომ თავისი ხმა მიაწვდინოს მთავრობას, თავისი ინიციატივა წარმოადგინოს ამ ვებ-საიტის მეშვეობით და როგორც მოგეხსენებათ, მას შემდეგ, რაც მოქალაქეების ინიციატივა დააგროვებს 10 000 ხმას ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს მთავრობა იქნება ვალდებული, განიხილოს ეს პეტიცია და გასცეს პასუხი - მიიღოს მისი ინიციატივა, ან დაასაბუთოს უარი. ეს არის ძალიან კარგი საშუალება ინკლუზიური მმართველობის, დემონსტრირება იმ გახსნილობის, რომელსაც საქართველოს მთავრობა უკვე რამდენიმე წელია ძალიან აქტიურად ახორციელებს და OGP-ის თავმჯდომარეობა, რომელიც ჩვენ წელს მოვიპოვეთ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ჩვენს მიმართულებას და იმ აღიარებას, რომელიც ჩვენ საერთაშორისო პარტნიორებს შორის მოვიპოვეთ ამ კუთხით,"- აღნიშნა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა სიტყვით გამოსვლისას.

პრეზენტაციას საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების, სამეცნიერო წრეებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიების ორგანიზება საქართველოს მთავრობამ USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყო.

პეტიციების პორტალის ტექნიკური პლატფორმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მიერ შემუშავდა.

იხილეთ ჩვენი საიტები

[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

უნივერსიტეტის ქ. 50  
თბილისი 0102, საქართველო  
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
ელ.ფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდით თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: [www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ